საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული
დავების განხილვის საბჭო

სტატისტიკური ანგარიში

დავების განხილვის საბჭოს აპარატი

2022

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს მიერ 2022 წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობის სტატისტიკური მონაცემების ამსახველ დოკუმენტს.

საერთო მაჩვენებლები

2022 წელის საბჭოში წარმოდგენილია 2796 საჩივარი.



საანგარიშო პერიოდში გაიმართა დავების განხილვის საბჭოს 72 სხდომა.



გადაწყვეტილება მიღებულია 2613 საქმეზე.



სადავო თანხამ შეადგინა 948 მილიონი ლარი.



გადაწყვეტილებები:

მიღებული გადაწყვეტილებებით სრულად და ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 739 საჩივარი, 1552 მომჩივანს უარი ეთქვა, ხოლო 322 საჩივარი განუხილველი დარჩა მომჩივნის მიერ სხვადასხვა პროცედურული მოთხოვნის დარღვევის ან დავის შეწყვეტის გამო.





მომჩივნები

განხილული საჩივრიდან უმეტესი ნაწილი წარმოდგენილი იყო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების და ფიზიკური პირების (მათ შორის ინდივიდუალური მეწარმეების) მიერ:



გადაწყვეტილებების ჩაბარების სტატისტიკური მაჩვენებლები

2022 წელს გადაწყვეტილება ჩაბარდა 2870 მომჩივანს. აქედან, 2447 შემთხვევაში ელექტრონულად, 243 შემთხვევაში მომჩივნის მისამართზე, საფოსტო დაწესებულების საშუალებით, 29 შემთხვევაში დავის განმხილველი ორგანოს მისამართზე, 151 შემთხვევაში საჯაროდ გავრცელების გზით.



დავის საგნები

საბჭოს მიერ განხილულ საჩივრებში ჭარბობდა შემდეგი დავის საგნები:

1. საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მართლზომიერება;
2. საქართველოს საბაჟო საზღვრის კვეთასთან დაკავშირებული საგადასახადო სანქციები;
3. სატრანსპორტო საშუალების გამოცხადების ვადის დარღვევა;
4. დოკუმენტურად დაუდასტურებელი ხარჯის, გადასახადით დაბეგვრა;
5. ანგარიშვალდებულ პირზე საქვეანგარიშოდ გაცემული თანხების დაბეგვრა;
6. შემოსავლების სამსახურის მიერ საჩივრის განუხილველად დატოვება;
7. უსაქონლო ოპერაციის ან ფიქტიური გარიგების გამოვლენის შედეგად განხორციელებული დარიცხვის მართლზომიერება;
8. სამეწარმეო საქმიანობისათვის საქონლის სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირება;
9. საგადასახადო ვალდებულებების არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით განსაზღვრა;
10. სესხის და იპოთეკის ხელშეკრულებების საფუძველზე განხორციელებული დარიცხვები;
11. სალაროს ნაშთის ანგარიშვალდებულ პირზე გაცემულ უპროცენტო სესხად, ხოლო სარგებლის თანხის აღნიშნული პირის მიერ ხელფასის სახით მიღებულ შემოსავლად მიჩნევა;
12. არარეზიდენტის მიერ მიღებული შემოსავლის გადახდის წყაროსთან დაბეგვრა;
13. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის შედეგები.